გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“

2. **თემატიკა:**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური სერვისების განვითარება;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, საერთაშორისო ორგანიზაცია MERCY CORPS.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი–692 კვ.კმ), მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო–დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი სამეგრელო ზემო–სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.



აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

ადმინისტრაციული ცენტრი: **ზუგდიდი**

ადმინისტრაციული ერთეული – 53.

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 339 კმ.



მოსახლეობა დევნილთა ჩათვლით – 161351

ქალაქის მოსახლეობა– 64571

სოფლების მოსახლეობა –96780

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ახორციელებს 70ზე მეტ ქვეპროგრამას, სერვისსა და პროექტს. პარალელურად, ყოველდღიურ რეჟიმში ხდება მოქალაქეთა მიღება, პერიოდულად კი - კომისიური გასვლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში(53); სწორედ, ერთერთი (შიდა) ძლიერი მხარე გახლავთ კვალიფიციური კადრები, რომელთაც აქვთ დაგეგმვის; დროის მართვის; კომუნიკაციის უნარი, როგორც მოქალაქეებთან, ასევე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და საპროტოკოლო საკითხთა განყოფილება, სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის მუნიციპალური პროექტების დასანერგად ვცდილობთ, ჩვენი რესურსებით მოვიძიოთ დამატებითი ფონდები, გრანტები.

ძლიერ ფაქტორად მიგვაჩნია, გენდერული თანასწორობის, ქალთა და გოგონათა გაძლიერების საკითხებში სამოქალაქო სექტორის, საინიციატივო ჯგუფების, თემის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შექმნილი გარემო, რომელიც იძლევა თვითმმართველობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საკმაოდ აქტიურად ოპერირებენ ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები. ხშირ შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების პირდაპირი მოთხოვნაა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ჰქონდეთ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერა (მერის მხარდაჭერის წერილი ან ფულადი თანამონაწილეობა). მათთან თანამშრომლობით დაინერგა არაერთი მდგრადი მუნიციპალური სერვისი.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

2019 წლის სექტემბერში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილებას დაემატა გენდერული თანასწორობის საკითხების ხელშეწყობის ფუნქცია. შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილებები სამსახურის დებულებაში და გადანაწილდა ფუნქციები განყოფილების თანამშრომლებს შორის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მორგებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამები. აღსანიშნავია, რომ გენდერული

თანასწორობის, ქალთა გაძლიერების პროგრამები ძირითადად მიმართული იყო აუცილებელ საჭიროებებზე, როგორიცაა ფულადი გასაცემელი, თავშესაფარი, ბინის ქირა და სხვა მხარდამჭერი პროგრამები. თუმცა ქალთა და გოგონათა ეკონომიკური და ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერის მიმართულებით არ არსებობდა შესაბამისი სერვისი.

2019 წელს დაიწყო მოლაპარაკება საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps-თან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახის" სერვისის დანერგვასთან დაკავშირებით, თუმცა პანდემიის გამო შეფერხდა და 2021 წლის ბოლოს დაიწყო "ქალთა ოთხის" სივრცის მოწყობა. ფართი გამოიყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ხოლო კეთილმოეწყო, ტექნიკითა და ავეჯით არიჭურვა Mercy Corps-ის მხარდაჭერით

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

2022 წლის 8 მარტიდან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა" დაიწყო ფუნქციონირება, რომელმაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ქალებს და გოგოებს, მისცა შესაძლებლობა მიეღოთ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობა, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. საქართველოს მასშტაბით, 32 „ქალთა ოთახი" ფუნქციონირებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. თითოეული მუნიციპალიტეტის განსხვავებული საჭიროებიდან გამომდინარე, სივრცეს აქვს განსხვავებული ფუნქციები, კულტურული, რელიგიური, გეოგრაფიული და ეთნიკური ნიშნის გათვალისწინებით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახს" გააჩნია საბაზისო ფუნქციები, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტისთვის საერთოა, რომლის ფარგლებშიც ვიზიტორებს შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ: კომპიუტერითა და ინტერნეტით, ბიბლიოთეკით, საბავშვო კუთხით, სივრცით, სხვადასხვა შეხვედრების მოსაწყობად და საკონსულტაციო სერვისით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტ
ZUGDIDI MUNICIPALITY

Women's Room
ქალთა ოთახი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მოკვლევის საფუძველზე, მოქალაქეების საჭიროებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ საბაზისო ფუნქციებს დაემატა ხუთი ძირითადი მიმართულება:

1. ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა;
2. ადგილობრივ დონეზე ქალთა ჩართულობის გაზრდა;
3. ქალთა ფსიქო- საგანმანათლებლო მხარდაჭერა;
4. რეფერირება;
5. სექტორული თანამშრომლობა.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

ქალთა ოთახის აქტივობები მიმართულებების მიხედვით ხორციელდება სხვადასხვა ინტენსივობით. გთავაზობთ აქტივობათა ჩამონათვალს და სიხშირეს ცხრილის სახით:

№	დასახელება	აქტივობა	სიხშირე
1	**კონსულტაცია მოქალაქეებთან**	საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი სერვისის მიწოდება.	ყოველდღურად;
2	**დასაქმების ხელშწყობა**	ინდივიდუალური დასაქმების გეგმის შედგენა; • რეზიუმე/cv შედგენა; • სამოტივაციო წერილის შემუშავება; • დასაქმების პლატფორმები; • ვაკანსიის ანალიზი; • გასაუბრების ტექნიკები; • ინდიდვიდუალური და გუნდური მუშაობა.	ყოველდღურად;
3	**სხვადასხვა თემატიკის ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება**	მთელი წლის განმავლობაში იდენტიფიცირებული საჭიროების შესაბამისი ტრენინგ-სესიებისთვის ტრენერებთან/სპიკერებთან თანამშრომლობა.	მოთხოვნის შესაბამისად.
		ქალთა ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა და ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე პრევენციული კამპანია: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, თვითზრუნვის პრაქტიკები, პრევენციული ღონისძიებები და ა.შ.	ყოველთიურად;
4	**ქალთა ოთახის საინფორმაციო კონსულტანტების გაძლიერება**	საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრები „ქალთა ოთახის“ საინფრომაციო კონსულტანტებთან, რომლებიც წარმოდგენილი არიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან და ხელს უწყობენ ქალთა ოთახში არსებული ინფორმაციის გამტარიანობას, ჯამში 30 ქალი.	ყოველთიურად;
5	**რეფერირება**	კონსულტირება და გადამისამართება შესაბამის უწყებებთან.	მოთხოვნის შესაბამისად.
6	**საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა და სასწავლო ვიზიტები სხვადსახვა ქვეყანაში**	ERASMUS + K2 პროგრამა რომლის მიზანია Youth One Stop Agency მოდელის დანერგვა ადგილობრივ დონეზე და ორინეტირებულია ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე, მენტორინგისა და ქოუჩინგის ტექნიკების გამოყენებით.	ყოველთიურად;
		პროექტის “Women’s Camp- Anaklia” მიზანია ქალთა გაძლიერება და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და სომხეთის LAG-ებს შორის. პროექტი ხორციელდება Action Against Hunger South Caucasus-ის მიერ, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.	მოთხოვნის შესაბამისად.
7	**გასვლითი შეხვედრები და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ პრაქტიკის გაზიარება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის**	გასვლითი ვიზიტები, ონლაინ შეხვედრები, წერილობითი რეკომენდაციები.	მოთხოვნის შესაბამისად.
8	**მონაცემთა ბაზების წარმოება**	სამუშაოს მაძიებელთა ბაზის წარმოება; დამსაქმებელთა ბაზის წარმოება; სამოქალაქო ორგანიზაციების ბაზების წარმოება;	ყოველკვირეულად;
9	**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა**	წერილობითი; ვერბალური.	კვარტალურად; ყოველდღურად;
10	**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ სირვცე - რესურსი შეხვედრებისთვის**	სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული თემატური შეხვედრები.	მოთხოვნის შესაბამისად.

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

  საქართველოს მთავრობის განკარგულება N2031 2021 წლის 19 ნოემბერი. ქ. თბილისი;

  ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №28 2021 წლის 2 დეკემბერი;

  ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №5 2023 წლის 20 იანვარი;

  ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე განხორციელებული საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“ თანამშრომლობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, აქედან გამომდინარე „ქალთა ოთახის“ საქმიანობა გათვალისწინებულია საბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში: **ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“-ფარგლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“.**

საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორი აქტიურად არის ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ საქმიანობაში, რომლის ძირითადი მიზანია ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება, დასაქმების ხელშეწყობა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ საინფორმაციო კონსულტანტები - 30 სოფლად მცხოვრები ქალი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 53 ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები;
- ქალთა ასოციაცია „გვირილა“;
- ზუგდიდში მომუშავე კომპანიები, მცირე და საშუალო მეწარმეები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მომუშავე სათემო ორგანიზაციები.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ სერვისის დანერგვისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კვალიფიციური კადრის შერჩევა. ხედვა, რომელიც ჰქონდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილებას - *შექმნილიყო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით სერვისი,* შეირჩა დასაქმების სფეროში გამოცდილი, კარიერის მართვის და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ სერვისის ადმინისტრაციული ხარჯები იფარება მუნიციპალური ბიუჯეტიდან (შრომითი ანაზღაურება, კომუნალური გადასახადი, საოფისე რესურსი და სხვა).

რაც შეეხება, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, ფართი გამოიყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ხოლო, ტექნიკითა და ავეჯით აღიჭურვა და გარემონტდა Mercy Corps-ის მხარდაჭერით.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

როგორც აღინიშნა, სერვისის დანერგვის მცდელობა ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე ეს პროცესი შეფერხდა. მხოლოდ 2021 წლიდან განახლდა პროექტზე მუშაობა. შედეგად, 2022 წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, ქალთა ოთახის სერვისი ოფიციალურად ხელმისაწვდომი გახდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

პროექტის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და საერთაშორისო ორგანიზაცია მერსი ქორფსი.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

პროექტის წარმატება განაპირობა თავიდანვე დანახულმა საჭიროებამ შექმნილიყო მუნიციპალიტეტში ქალთა და გოგონათა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების სერვისი.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

საქართველოს მასშტაბით, „ქალთა ოთახის“ სერვისი ფუნქციონირებს 32 მუნიციპალიტეტში. თითოეული მათგანი აღნიშნულ სერვისს ახორციელებს საბაზისო მიმართულებების გათვალისწინებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა“ გახსნის დღიდან მიიღო 800-ზე მეტი ვიზიტორი, რომლებსაც გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაცია. ვიზიტორების 95% ქალია. კონსულტაციების მიზანია მოქალაქეების საჭიროებების სწორი იდენტიფიცირება და მათზე მორგებული პროგრამის შეთავაზება. ამ მიზნით, სივრცის ფუნქციონირების საწყის ეტაპზე შეიქმნა დამსაქმებელთა, სამუშაოს მაძიებელთა და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზები, რომელმაც გაზარდა ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა.

გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა, „ქალთა ოთახის“ საბაზისო ფუნქციას წარმოადგენს სივრცის დათმობა სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის. ჩვენი პარტნიორი საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, აქტიურად იყენებენ ამ რესურსს; ასევე, ტარდება

საბჭოს და კომისიის სხდომები, ფოკუს ჯგუფის კვლევები და პირისპირ კონფიდენციალური ინტერვიუები.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ სერვისის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ საბაზისო მიმართულებებთან ერთად სამუშაო ფუნქცია განისაზღვრა განსხვავებული მიდგომით.

კერძოდ:

დასაქმების ხელშეწყობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახში“ დაინერგა **დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების სამენტორო პროგრამა,** რომლის მიზანია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მიწოდება.

შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დასაქმების მსურველ ვიზიტორებს ვთავაზობთ ტრენინგ ციკლს, შემდეგ საკითხებზე:

- უნარების სკრინინგი;
- ინდივიდუალური დასაქმების გეგმის შემუშავება;
- რეზიუმე/CV და სამოტივაციო წერილის შედგენა;
- გასაუბრების ტექნიკები;
- დასაქმების პლატფორმები;
- ვაკანსიის ანალიზი;

ტრენინგების შემდეგ, სამუშაოს მაძიებელი მთელი წლის განმავლობაში მხარდაჭერილია დასაქმების კონსულტანტის მიერ, რაც ზრდის თითოეული ვიზიტორის დასაქმების შანსს ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

სამენტორო პროგრამასთან ერთად დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაში მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ონლაინ პლატფორმა - *დასაქმების ხელშეწყობა ზუგდიდში* - ***რესტარტი,*** რომელიც აერთიანებს 8000-მდე წევრს სხვადასხვა სექტორიდან. ყოველდღიურ რეჟიმში, ჯგუფის დახმარებით ვრცელდება ინფორმაცია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული დასაქმების, დაფინანსების და განვითარების შესაძლებლობებზე, პროფესიული გადამზადების და სხვა მიმდინარე პროექტებზე ინფორმაცია. გარდა სამუშაოს მაძიებლებისა, ჯგუფში გაწევრიანებული არიან კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესი ადამიანური კაპიტალის მოძიებაა. „ქალთა ოთახის“ მუშაობის პროცესში, აღსანიშნავია 2022 წელს ზუგდიდი მოლის გახსნა. ქსელური კომპანიებისთვის შეთავაზებული იქნა გასაუბრების პროცესის უზრუნველყობა „ქალთა ოთახის“ სივრცეში, ბაზაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებთან. შედეგის სახით, ქალთა ოთახის ხელშეწყობით 36 მოქალაქე დასაქმდა ზუგდიდი მოლში. *იხილეთ ბმულები:*

https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/posts/pfbid02kS5RHaZJxPwKtHJbSthtETwZ9inLkvCvEe8wPSmVVFcn4vaPZ58uvF1gQq61STdel

https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/posts/pfbid02Dz9emg8h4VAuJrX6EFSnw9LNj6V9s34XneTbviaS1Z4ptPnwndG4Pemr2LVQXnh3l

დასაქმების ხელშეწყობა ზუგდიდში - **რესტარტი**:
https://www.facebook.com/groups/518106232502521

დასაქმების პლატფორმის და მენტორინგის პროგრამის კომპლექსური მუშაობით, „ქალთა ოთახის“ გახსნის დღიდან, პროგრამით ისარგებლა 285-მა მოქალაქემ, რომელთა შორის 105 დასაქმდა ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციების ბაზა, რომლებიც პერიოდულად აცხადებენ ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამებს. ამ ინფორმაციის გაზიარება ხდება დაინტერესებულ ვიზიტორებთან. პირველ ეტაპზე ხორციელდება არსებული პროგრამის მიზნის და მეწარმის რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რის საფუძველზეც მოქალაქეს გაეწევა ბიზნეს-კონსულტაცია საპროექტო წინადადების შემუშავებასთან დაკავშირებით (საგრანტო აპლიკაციების შევსება, საპროექტო განაცხადი, ბიზნეს გეგმა და სხვა); ამ დრომდე „ქალთა ოთახის“ მიერ 32 ქალს გაეწია კონსულტირება, რომელთა შორის 6 ქალმა მოიპოვა 18 000 ლარის ოდენობით ფინანსური რესურსი.

სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების მხარდაჭერა და გაძლიერება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი შედგება 53 ადმინისტრაციული ერთეულისგან, მათ შორის 48 წარმოადგენს სოფლის ტერიტორიულ ერთეულს, ხოლო 9 კონფლიქტისპირა ადმინ. ერთეულს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სექტორის მიერ სისტემატიურად ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა სოფლად მცხოვრებ ქალთა განსხვავებული საჭიროებები. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ მიერ დაიგეგმა სოფლად მცხოვრებ ქალებთან სამუშაო შეხვედრები და საინფორმაციო/საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა.

ამ ეტაპზე ქალთა ოთახს ჰყავს 30 საინფორმაციო კონსულტანტი სხვადასხვა თემიდან, რომლებიც ჩართული არიან როგორც ადგილზე, ისე გასვლით საგანმანათლებლო ტრენინგებში. საინფორმაციო კონსულტანტებს განახლებულ და დაზუსტებულ ინფორმაციას აწვდის ზუგდიდის „ქალთა ოთახი“ სფეროში გამოცდილი და კომპეტენტური სპიკერების დახმარებით. ამ დრომდე, მოხალისეობრივი ჯგუფისთვის ჩატარდა 14 შეხვედრა, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- გუნდის მშენებლობა;
- მუნიციპალური პროგრამების გაცნობა;
- სკრინინგ ცენტრის პროგრამები;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები;
- რა გავლენას ახდენს ძალადობა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე;
- თვითზრუნვის პრაქტიკები;
- მიგრაციის და ლეგალურად დასაქმების საკითხები ევროკავშირის ქვეყნებში;
- ადამიანის უსაფრთხოება;
- სხვა.

თემში მცხოვრები ქალების გაძლიერების პარალელურად, ქალთა ოთახის ინიციატივით და UN Women მხარდაჭერით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის 53 წარმომადგენლისთვის ჩატარდა ტრენინგი „გენდერულად მგრძნობიარე კომუნიკაციის ენა“. თემის ყველა აქტორთან გენდერული თანასწორობის მიმართულებით მუშაობამ მეტად ეფექტური გახადა თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, ქალთა ოთახთან თანამშრომლობით ასოციაცია „გვირილას“ მიმდინარე პროექტი ***„ცოდნა-პრევენცია“,*** რომელიც მიზნად ისახავს „ქალთა ოთახის“ 20 საინფორმაციო კონსულტანტის

(სხვდასხვა თემიდან) გადამზადებას თემაზე: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები/SRHR. გადამზადების შემდეგ, კონსულტანტები საინფორმაციო შეხვედრებს ჩაატარებენ თავიანთ თემში ადგილობრივი ქალებისა და გოგოებისთვის. ასევე, პროექტის ფარგლებში იგეგმება სოფლად 2 ქალთა კლუბის ჩამოყალიბება. პროგრამის პირდაპირი სამიზნე ჯგუფი არის ქალთა ოთახის 20 საინფორმაციო კონსულტანტი და არაპირდაპირი, 600 რეპროდუქციულ ასაკში მყოფი (16-45) ქალი.

ქალების ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა და ეკონომიკური გაძლიერება

2022 წლის პირველ ნახევარში, ქალებთან დასაქმების საკითხებზე მუშაობის დროს გამოვლინდა, რომ პირველ რიგში აუცილებელი იყო მათი ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, რაც უფრო მეტ ეფექტს მოგვცემდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის მუნიციპალური პროგრამის „სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით პროექტების თანადაფინანსება“ ფინანსური მხარდაჭერით **ქალების ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების** საკითხებზე განხორციელდა ორი მნიშვენლოვანი პროექტი:

ქალთა საინფორმაციო და ფსიქო-საგანმანათლებლო სივრცე

პროექტის ფარგლებში, მოწყვლადი ჯგუფის ქალებს (მარტოხელა, ძალადობის მსხვერპლი, სოცილაურად დაუცველი და ა.შ) ჩაუტარდათ სესიები შემდეგ თემებზე:

- ძალადობის სახეები;
- ძალადობის წარმოშობის მიზეზები;
- ოჯახში ძალადობა და ქალისა და ბავშვის მიმართ ძალადობის მოსალოდნელი შედეგები;
- ძალადობის დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები, სახელმწიფო და არასამთავრობო სერვისები;
- საერთაშორისო გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის რესურსები ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის;
- ქალთა გაძლიერების საკითხები: პოზიტიური მშობლობა და აღზრდის მეთოდები, თვითდაჯერებულობა და ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა;

ჯამში, პროექტში ჩაერთო 24 სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი ქალი, მარტოხელა დედა და დევნილი. https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/videos/1433253120495324

ქალთა ფსიქო-სოციალური და პროფესიული მდგრადობა

პროექტის მიზანი იყო 12 სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ქალისთვის პოლიმერიულ თიხაზე მუშაობის ტექნიკის შესწავლა და სხვადასხვა ტრენინგ-სემინარში მონაწილეობის მიღება. პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოეწყო პროექტის ფარგლებში დამზადებული ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა/გაყიდვა და გადაეცათ პოლიმერიული თიხის გამოსაწვავი ღუმელი.

https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/posts/pfbid0tiPFmNRPCSkcVUUpbiePy52ZR1UeHhHeQACZH53i9R7Smymr1tVpLgUgDsbb9Vqpl

ასევე, აქტიურად ტარდება ტრენინგები ფსიქოლოგების ჩართულობით, ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითზრუნვის პრაქტიკები, პირადი სივრცის განსაზღვრა, ემოციების მართვის ტექნიკა და ხარისხი და ა.შ. რაც ხელს უწყობს ქალების მენტალურ ჯანმრთელობას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. https://www.facebook.com/reel/816584076508258
https://www.facebook.com/reel/1373506433243443

კონსულტაციების შედეგად, ასევე გამოვლინდა ინგლისური ენის გაუმჯობესების საჭიროება უკვე დასაქმებულ ქალებში. ამის საპასუხოდ, ქალთა ოთახის ინიციატივით, მარიას სკოლა-MARIAS'S SCHOOL და

დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მხარდაჭერით 13 ქალი ჩაერთო ინგლისური ენის უფასო სწავლების კურსზე. პროგრამის დასრულების შემდეგ, გადაეცათ სწავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება აქტიურად იყენებს „ქალთა ოთახის“ სივრცეს და ყოველი თვე „მშობლის საათის“ ფარგლებში ბენეფიციარებს სთავაზობთ საინფორმაციო შეხვედრას დარგში კომპეტენტური სპიკერების მოწვევით. ამ დრომდე, ქალთა ოთახის სივრცეში ჩატარდა 8 საინფორმაციო შეხვედრა.

https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid02gNwwYUFe1x81KEgFqnURkyLMyQGzQ36FyP95ZR1BTyn24Bm55QbDe84YJC396k8Sl
https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0HbPzFyTwQibkPcLNKJwi6x7bUJjb8B8LGDLYpjX14NcgP9avWNcSq5ooTiBXtFFYl

რეფერირება

ქალთა ოთახში მოსული ვიზიტორებისთვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს **რეფერირება**. როგორც აღინიშნა, კონსულტირების ეტაპზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და მოქალაქეების შესაბამის ორგანიზაციებთან/სამსახურებთან გადამისამართება (მუნიციპალური სერვისები; სამოქალაქო სექტორის მიმდინარე პროექტები და სხვა). „ქალთა ოთახის“ მიერ შექმნილმა ბაზებმა ხელი შეუწყო ადგილზე მოსულ ვიზიტორებს, სწრაფად და გაფილტრულად მიეღოთ მათთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია, რომელიც გვეხმარება ქალების პროფესიულ გადამზადებაში, მათი სოციალური პრობლემების მოგვარებასა და დასაქმების ხელშეწყობაში.

ჯამში რეფერირება გაეწია 135 მოქალაქეს შესაბამის სამსახურებთან. მათ შორის აღსანიშნავია მოწყვლადი ჯგუფის ქალები, რომელიც ჩაერთნენ სხვადასხვა პროფესიული გადამზადების პროგრამაში, მიიღო პენსია, ფინანსური დახმარება და ჩაერთო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში.

სექტორული თანამშრომლობა.

ქალთა ოთახი აქტიურად არის ჩართული **საერთაშორისო პროექტებში,** რომელიც გულისხმობს სხვა ქვეყნის მუშაობის პრაქტიკის გაცნობას, პროფესიული და პიროვნული უნარების განვითარებას და სამუშაო პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკების გაცნობას.

ერთ-ერთი ასეთი პროექტი არის ERASMUS + K2 პროგრამა რომლის მიზანია Youth One Stop Agency მოდელის დანერგვა ადგილობრივ დონეზე და ორინეტირებულია ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე, მენტორინგისა და ქოუჩინგის ტექნიკების გამოყენებით. ქალთა ოთახის საერთაშორისო პროექტში ჩართვა მოხდა Youth For the World (YFW) ორგანიზაციის მხარდაჭერით.

2023 წელს განხორციელდა Action Against Hunger South Caucasus-ის მიერ ორგანიზებული სასწავლო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკის შირაქის რეგიონში, რომლის დროსაც შემუშავდა ტრანსნაციონალური პროექტის იდეა, რომელიც მიმართულია ქალების როლის გაძლიერებაზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის LAG-ის და „ქალთა ოთახის“ ინიციატივით დაიგეგმა ტრანსნაციონალური პროექტი - ქალთა ბანაკი ანაკლია, რომელშიც მონაწილეობენ ზუგდიდის, ახმეტისა და სომხეთის რესპუბლიკის LAG-ების წარმომადგენლები. ქალთა ბანაკის პროგრამა მოიცავდა ტრენინგებს შემდეგ გენდერულ საკითხებზე: დისკრიმინაცია და ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, რეპროდუქციული და მენტალური ჯანმრთელობა, ჯანსაღი კვება და სხვა. ჯამში, ბანაკში მონაწილეობა მიიღო 35-მა ქალმა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახი” აქტიურად თანამშრომლობს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორთან *(ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი; ZUGDIDI LAG (ზუგდიდის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი); დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო; ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM)*

ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი; საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანსწორობის საბჭო; SOS ბავშვთა სოფელი; ასოციაცია მერკური; ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM); UN WOMEN; ასოციაცია „ათინათი"; ასოციაცია „ილი"; ასოციაცია „თანხმობა"; ფონდი „სოხუმი"; ორგანიზაცია „მედეგი"; ზუგდიდი მოლი; ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია;), რაც ხელს უწყობს სექტორალურ ეფექტურ მუშაობას.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

როგორც აღინიშნა, „ქალთა ოთახის" სერვისი არის მოქნილი და ადაპტირებადი ადგილობრივ საჭიროებებზე. თითოეული მუნიციპალიტეტი, რომელიც გადაწყვიტავს ადგილობრივ დონეზე დანერგოს ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერების სერვისი, კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი მოქალაქის საჭიროებები და მუნიციპალიტეტის გამომწვევები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" სერვისის არსებობამ გამოიწვია პოზიტიური ცვლილებები ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ფსიქო-ემოციური და ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, რაზეც მიღებული შედეგების ანალიზი მეტყველებს.

2022 წელს, სერვისის განხორციელებისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა ადმინისტრაციული და შრომის ანაზღაურების ხარჯები.

ვიზიტორთა მომართვიანობის საფუძველზე „ქალთა ოთახის სერვისი კვლავ აქტუალურია და მოქალაქეთა საჭიროებიდან გამომდინარე ემატება ახალი მიმართულებები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, სადაც დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" ფუნქციონირებისათვის საჭირო ბიუჯეტი.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას/ფრაქციას წარედგინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პროგრამები განსახილველად და დასამტკიცებლად. სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამების უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

2022 წლიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ სერვისის მიმართულებები და მიდგომები იხვეწება მოქალაქეების, საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის უკუკავშირის შედეგად.

სამომავლოდ, ყველა არსებული მიმართულება გაგრძელდება და იგეგმება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ საინფორმაციო კონსულტანტებთან მუშაობის გაძლიერება, სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების გააქტიურებისა და ჩართულობის მიზნით.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

გოგი რევია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. ტელ: 595322402 gogirevia@gmail.com

თამარ ჩიქავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი. ტელ: 555650050 tamarachikava@gmail.com

ნინო გვაგვალია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ კოორდინატორი. 557707274 ngvagvalia@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

- *საქართველოს მთავრობის განკარგულება N2031 2021 წლის 19 ნოემბერი. ქ. თბილისი;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №28 2021 წლის 2 დეკემბერი;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №5 2023 წლის 20 იანვარი;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე განხორციელებული საქმიანობის 2022 წლის ანგარიში*
- https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/posts/pfbid02kS5RHaZJxPwKtHJbSthtETwZ9inLkvCvEe8wPSmVVFcn4vaPZ58uvF1gQq61STdel
- https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/posts/pfbid02Dz9emg8h4VAuJrX6EFSnw9LNj6V9s34XneTbviaS1Z4ptPnwndG4Pemr2LVQXnh3l
- https://www.facebook.com/groups/518106232502521
- *https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/videos/1433253120495324*

- *https://www.facebook.com/Zugdidiwomensroom/posts/pfbid0tiPFmNRPCSkcVUUpbiePy52ZR1UeHhHeQACZH53i9R7Smymr1tVpLgUgDsbb9Vqpl*
- *https://www.facebook.com/reel/816584076508258*
- *https://www.facebook.com/reel/1373506433243443*
- *https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid02gNwwYUFe1x81KEgFqnURkyLMyQGzQ36FyP95ZR1BTyn24Bm55QbDe84YJC396k8Sl*
- *https://www.facebook.com/zugdidi.gov.ge/posts/pfbid0HbPzFyTwQibkPcLNKJwi6x7bUJjb8B8LGDLYpjX14NcgP9avWNcSq5ooTiBXtFFYl*

განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 10 ოქტომბერი- 17 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge